ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2797389

ნომერი: AR1428954

თარიღი : 23.08.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 09.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 23

აგვისტოს #AR1428954 განცხადებით მომართეს თენგიზი ესიავამ და ლაურა ღაჭავამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლება 2016 წლის 23 აგვისტოს #AR1428954 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, #29–ში (ს/კ: #01.14.14.012.027) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 23 მარტიდან 2017 წლის 23 მარტის ჩათვლით. სამსახურის 2016 წლის 26 აპრილის #2565428 გადაწყვეტილებით დადასტურდა მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 21 აპრილის #ბ-140120/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს PP. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B16107276; მომზადების თარიღი: 28/07/2016 წ.; ს/კ: #404922474) თანახმად, შპს PP-ს დირექტორს წარმოადგენს ლაურა ღაჭავა. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016272617, მომზადების თარიღი: 28/04/2016 წ., ს/კ: #01.14.14.012.027) შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს PP.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ იცვლება და ითხოვს მხოლოდ 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლებას 2016 წლის 23 აგვისტოს #AR1428954 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებაში, კერძოდ: 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს 2016 წლის 23 აგვისტოს #AR1428954 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 მარტის #2494651 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით